



# ბიულეტენი

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის  
საინფორმაციო ორგანო

№4 (79) ოქტომბერი-დეკემბერი 2016 წელი



ათცამეტი ასურელი მამა

„ბეჭდის სახსდუადი“



გვითხულომით სუჟოტხისცყათსანს



„ერთ აბწიუის დბი თუბთა სადბთ ... თუანდუბბ და ათესადტა“



„ერთ ანტიკის ომი ერთა ხაზით ...  
ფანდურით და აფხიარცა“

1975 წლიდან, იუნესკოსთან არსებული საერთაშორისო მუსიკალური საბჭოს ინიციატივით, ყოველი წლის 1 ოქტომბერს აღინიშნება მუსიკის საერთაშორისო დღე. ამ დღის მიზნებს შორის იეგუდი მენუჰინი (საერთაშორისო სამუსიკო საბჭოს თავმჯდომარე) და მისი მოადგილე ბორის იარუს-ტოვსკი ასახელებენ ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის, იუნესკოს იდეალების, კულტურათა განვითარების, გამოცდილების გაცვლისა და ერთმანეთის ღირებულებებისადმი ურთიერთპატივისცემის აღიარებას. ამიტომაც, გასაკვირი არაა, რომ აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა სწორედ ამ დღეს, 2016 წლის 1 ოქტომბერს გადანიშნა ქართულ-აფხაზური მუსიკის კონცერტის ჩატარება, რაც მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის თანადგომით განხორციელდა.



გაგრელ, ახალგაზრდა კომპოზიტორ ლალი საბანაძის საფორტეპიანო „მოგონებები“, რომელიც თავად ავტორმა წარუდგინა მსმენელს. მისგან განსხვავებულად, დრამატულად იყო დანახული და ინტერპრეტირებული აფხაზური ფოლკლორი ქართველ კომპოზიტორ ლელა მაქარაშვილის მიერ, რომლის „იმპროვიზაციაში აფხაზურ ხალხურ სიმღერა „გუდისას,თემაზე“ თითქოსდა აისახა ამ მხარის ისტორიის რთული ფურცლები.

ცნობილია, რომ მრავალი ათეული წლის მანძილზე ქართველი საზოგადო მოღვაწეები ყველანაირად გვერდში ედგნენ აფხაზ ხალხს კულტურული განვითარების პროცესში. ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არც მუსიკალური სფერო იყო - ქართველი ხელოვანები ეწეოდნენ მუსიკალური კულტურის პროპაგანდას, მათ აფხაზი კომპოზიტორებისა თუ, ზოგადად, მუსიკოსების არაერთი თაობა ჰყავთ აღზრდილი. 1 ოქტომბრის თემატური კონცერტი ერთი იდეით იყო გაბთ-



წარმოშობით სოხუმელმა, ამჟამად თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებულმა პროფესორმა თემურ ელიავამ (ფორტეპიანო) თავისი კლასის სტუდენტებთან ერთად შეასრულა აფხაზეთისადმი მიძღვნილი სიმღერები: გიორგი ჩლაიძის „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი“ (გალაკტიონ ტაბიძის ტექსტზე, ასრულებდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მაგისტრანტი ლევან ტაბატაძე), ნუნუ გაბუნიას „ზღვა და სივრცე“ (ლექსი ჯანო ჯანელიძის, ასრულებდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მაგისტრანტი მაგდა ჭიჭიაშვილი) და ვაჟა აზარაშვილის „სოხუმი კი ისევ გულში გვიხუტებს“ (მამია ჩორგოლაშვილის ლექსზე, ასრულებდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მაგისტრანტი ალექსანდრე თიბელიშვილი).

ლიანებული. იგი ორგანიზატორებმა გამოხატეს კონცერტის სათაურით, სადაც გამოყენებულია გიორგი ლეონიძის ლექს „აფხიარცას“ ერთ-ერთი სტრიქონი - „ერთ არნივის ორი ფრთა ხართ ... ფანდურო და აფხიარცა“. სწორედ ამ პოეტურ ტექსტში ჩაქსოვილი ორი ერის კულტურული ერთობა და განუყოფლობის იდეა სდევდა თან მთელ კონცერტს. აქ წარმოდგენილი ყველა მუსიკალური ნომერი ასე თუ ისე დაკავშირებული იყო აფხაზეთთან. კერძოდ, აჟღერებული ნიმუშების ავტორები და შემსრულებლების ნაწილი არიან აფხაზეთიდან, გარდა ამისა, შესრულდა იმ კომპოზიტორთა თხზულებები, ვისაც განსაკუთრებული შემოქმედებითი კავშირები თუ ინტერესები აკავშირებთ ამ უმშვენიერეს მხარესთან.

სულხან ცინცაძის მუსიკისთვის ჩვეული ხიბლი და განსაკუთრებული ესთეტიკა შემოიტანა კომპოზიტორის საკვარტეტო მინიატურებმა „ინდი-მინდი“, „აფხაზური ნანა“ და „სოფლური საცეკვაო“, რომლებიც მაღალ პროფესიულ დონეზე შეასრულა სიმებიანმა კვარტეტმა „იბერი“ (I ვიოლინო - გიორგი ხაინდრავა, II ვიოლინო - თამარ ბულია, ალტი - ირაკლი ჯაფარიძე, ვიოლონჩელო - თორნიკე გენაძე).

თემატიკით, ჟღერადობითა და შინაარსით, შესრულების უზადობით ერთ-ერთი გამორჩეული ოპერა იყო ოთარ თავთაქიშვილის თარაშის სიმღერა ოპერიდან „მთვარის მოტაცება“. იგი კონცერტმაისტერ, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებულ პროფესორ დარეჯან მახაშვილთან ერთად შეასრულა საქართველოს სახალხო არტისტმა, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორმა ელდარ გენაძემ - მომღერალმა, რომელსაც სწორედ თარაშის როლისთვის მიენიჭა თეატრალური საზოგადოების პრემიები „მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის“ (1979 და 1980 წლებში).

თბილისის კონსერვატორიის ასოცირებულმა პროფესორმა გიორგი შავერზაშვილმა შეასრულა თავისი მამის - ალექსანდრე შავერზაშვილის ნამონაფარის, აფხაზი კომპოზიტორის ვალერი ჭკადუას ოთხი საბავშვო პიესა. სევენანარევი, ნოსტალგიური ჟღერადობის იყო წარმოშობით

კონცერტზე აჟღერდა, ასევე, მიხეილ ლაკერბაის ლიბრეტოზე ქართველი კლასიკოსის, ანდრია ბალანჩივაძის გასული საუკუნის შუა წლებში შექმნილ ოპერა „მიზიდან“ სამი ნაწყვეტი და

„კანცონეტა“. რომლებიც ბათუმის საოპერო თეატრის მომღერლებთან -თამთა კორძიასთან, ზაზა ხამათაშვილთან, ირაკლი კორიფაძესა და ნონა კორიფაძესთან მოამზადა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ნატალია ჭანტურიშვილმა.

სალამოს კულმინაცია იყო აფხაზეთის ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „აფხაზეთის“ (სამხატვრო ხელმძღვანელი ლევან ღვინჯილია, სოლისტები სოფიო ქირია, თორნიკე მანუკავა, ბესო გოგილაშვილი, რატი მალრადე) მიერ ბრწყინვალედ შესრულებული აფხაზური ფოლკლორის მარგალიტები: „ოზბაქ“, „შიშ-ნანი“ (მაჰაჯირული იავნანა), „აფხაზური მაყრული“ და რაჟდენ გუმბას „საცეკვაო“.

1 ოქტომბერს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელო-

ბის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გვერდიგვერდ ჟღერდა ქართული და აფხაზური მუსიკა. ალბათ, კონცერტის თემატიკამაც განაპირობა, რომ დარბაზშიც და შემსრულებლებშიც განსაკუთრებულ ემოციას იწვევდა საქართველოს ამ ტკივილიანი მხარის მუსიკალურ კულტურასთან შეხება, სხვადასხვა თაობის ქართველი ხელოვანების შემოქმედებაში რომ ჰპოვა ასახვა.

ამ საღამომ კიდევ ერთხელ თვალნათლივ წარმოაჩინა მრავალსაუკუნოვანი ქართულ-აფხაზური განუყოფელი კულტურული კავშირები.

მარიკა ნადარეიშვილი  
მუსიკისმცოდნე

## „გულის სახსოვარი“

მრავალი სიყვარულით გამთბარი სიტყვა უძღვნეს 2016 წლის 17 ოქტომბერს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრში საქართველოსა და აფხაზეთის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა გიორგის ოქროს ორდენის კავალერს, მუსიკოლოგ სვეტლანა ქეცბას წიგნ „გულის სახსოვარი“ პრეზენტაციაზე. კრებულში თავმოყრილია ავტორის სტატიები, გამოსვლები და მოგონებები აფხაზეთის შესახებ 1993 წლიდან დღემდე.

წიგნი ორენოვანია, დაიბეჭდა ქართულ და რუსულ ენებზე.

წიგნის გამოცემას გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ (N235, 16.12.2016) რუბრიკით „როცა კალამი დიპლომატობს“ მიუძღვნა გიორგი შოთაძის წერილი „მართლაც „გულის სახსოვარი“, ხოლო „რეზონანსმა“ (N343, 19.12.2016) დაბეჭდა გვანცა ღვედაშვილის წერილი „ეს წიგნი იმ ტკივილით არის გამსჭვალული, რომელიც გამოვიარეთ...“



## „ვეფხისტყაოსანს“

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა „ვეფხისტყაოსანის“ 850 წელს მიუძღვნა პროექტი -„ვეფხისტყაოსანს“ 850 წელს მიუძღვნა პროექტი -„ვეფხისტყაოსანს“, რომელიც რამდენიმე საფეხურისაგან შედგებოდა და მიზნად ისახავდა მოსწავლეთა მიერ „ვეფხისტყაოსანის“ ტექსტის უკეთ გაცნობასა და გათავისებებას. პროექტის პირველ, ყველაზე ხანგრძლივ და მნიშვნელოვან ეტაპზე, თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეები რუსთაველის პოემას მსახობების, ლიტერატურული კითხვის ოსტატების ხელმძღვანელობითა და მეთვალყურეობით ეცნობოდნენ და მის მხატვრულ რეპრდუქციას ცდილობდნენ. უფროს ჯგუფს ბატონი გიორგი ხარაბაძე უძღვებოდა, უმცროსს კი – ქალბატონი ელდინო სალარაძე. ცენტრის მიწვევით საშუალება მომეცა ორივე ჯგუფის ფინალურ გაკვეთილებს დავსწრებოდი, რომლებიც კონკურსსა და დასკვნით კონცერტს წინ უძღვოდა. პირველად გიორგი ხარაბაძის ჯგუფის მეცადინეობაზე აღმოვჩნდი. საკლასო ოთახში ბავშვებთან ერთად მშობლებიც იხსდნენ. თავიდანვე ჩემი ყურადღება ერთმა გარემოებამ მიიპყრო. მთელი ჯგუფი, მშობლებიცა და მოზარდებიც, ერთიანად

იყო ჩართული მუშაობის პროცესში, კონკურსანტებს ყველა ყურადღებით უსმენდა, ამხნევებდა, გულშემატიკვრობდა და მოწონებას გამოხატავდა. ვფიქრობ, ეს ამ პროექტის ერთ-ერთი ყველაზე ფასეული შედეგი იყო, რადგან აქცენტი მხოლოდ შეჯიბრზე კი არა, ერთობლივ შრომასა და შემოქმედებით პროცესზე კეთდებოდა. თითოეულ მოსწავლეს თავისი პერსონალური გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული, თითოეულ მათგანს საკუთარი „ვეფხისტყაოსანი“ აღმოეჩინა. მეტიც, შოთა რუსთაველის პოემა მათ საკუთარ თავთან შეხვედრაში, თავისი ინდივიდუალობის გაცნობიერებაში ეხმარებოდა. ალბათ, სწორედ ასეთი უნდა იყოს სწავლის დანიშნულება, ის ადამიანს სამყაროსა და საკუთარი თავის შეცნობაში, საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობების გაცნობიერებაში უნდა ეხმარებოდეს. მსახიობს მეცადინეობა ძალზე მშვიდსა და სერიოზულ ტონალობაში მიჰყავდა, დელიკატურად ეკიდებოდა თითოეულ მონაწილეს და „ვეფხისტყაოსანის“ ტექსტის გადმოცემის პროცესში აზრობრივი აქცენტების გამოკვეთაში ეხმარებოდა. პოემის გამრეხებთან მიახლოების „დრამატული“ მიდგომა ჰქონდა

შერჩეული. ბავშვებს პერსონაჟის ხასიათი, ვითარება, თანამოსაუბრესა თუ ადრესატთან დამოკიდებულება და მისი სათქმელის საზრისი უნდა გაეაზრებინათ, განეცადათ და გადმოეცათ. მათ მიერ განსახიერებელი გმირები აქ და ამ წუთას არსებობდნენ, მოქმედებდნენ, ფიქრობდნენ. - შორიდან ნუ უყურებთ გმირს, თითქოს გარედან აფასებდეთო მას, - ეუბნებოდა მათ პედაგოგი. როგორც კი ამ სიტყვებს თქვენს სათქმელად აქცევთ, მაშინვე იპოვით შესაფერის აქცენტებსო. ეპიკური პოემის დრამატული მეთოდით განცდა ძალზე პროდუქტიულად მომეჩვენა. პოემასთან, გმირთან მიახლოება ყოველგვარი დოგმატიკის გარეშე, უშუალოდ, უსარგებლო ეგზალტაციისა და ყალბი პათოსის გარეშე ხდებოდა. ჩემ თვალწინ, მოსწავლეების წყალობით, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი აბსტრაქციიდან ვილაციის სათქმელად იქცეოდა, ეს აფორიზმების დეკლამაცია კი არა, კონკრეტული ადამიანის, ინდივიდის ემოციისა და აზრის გამოხატულება იყო. ვფიქრობ, გიორგი ხარაბაძემ ძალზე სწორი გზა აირჩია მოსწავლეებთან სამუშაოდ, შესანიშნავად იგრძნო ასაკობრივი ჯგუფი, მიუდგა მათ არა როგორც მხოლოდ შეგირდებსა და მოწაფეებს, არამედ როგორც ზრდასრულ ინდივიდებს, რომლებსაც თვითონ შეუძლიათ ლიტერატურული ტექსტის, მასში გადმოცემული აზრის განცდა, შეფასება და გადმოცემა. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მსგავსი მეთოდით შესწავლას დიდი პოტენციალი აქვს მოსწავლეთა მიერ პოემის მსოფლმხედველობრივი, ინტელექტუალური თუ ეთიკური ასპექტების ინდივიდუალური წვდომისათვის, მათი პიროვნული აღზრდისათვის. ახალგაზრდები ისე ღირსეულად, ისეთი შინაგანი პასუხისმგებლობითა და ემოციით წარმოთქვამდნენ პოემის სტროფებს, თითქოს თავად იდგნენ გმირების წინაშე წარმოქმნილი დილემებისა თუ საბედისწერო არჩევანის წინაშე. კლასიკურ ტექსტში, პერსონაჟში ამგვარი „შეღწევა“, ტექსტის „პროდუქტიული დესაკრალიზაცია“ მისი გაცოცხლების, თანამედროვე დისკურსში ჩართვის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად მომეჩვენა. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, თუ რაოდენ აუცილებელია სტერეოტიპების დარღვევა, კლასიკური ტექსტისადმი არადოგმატური, სიღრმისეული მიდგომა. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იძენს კლასიკური ტექსტი ჭეშმარიტად ეროვნულ მნიშვნელობას, ასეთ შემთხვევაში ხდება ჩვენი პირადი გამოცდილების ნაწილი. ეს მეთოდი საუკუნეებით არის აპრობირებული და ყოველთვის ამართლებს. იტალიელი ჰუმანისტები კლასიკური ტექსტების უკეთ შესწავლის მიზნით, ერთად იკრიბებოდნენ, ხმამაღლა კითხულობდნენ ნაწყვეტებს ჰორაციუსისა და ვირგილიუსის პოემებიდან და მათ საზრისზე მსჯელობდნენ. რომის უნივერსიტეტის პროფესორი პომპონიო ლეტო თავის სტუდენტებს პლაგატუსის კომედიებს პირებში აკითხებდა, რათა მათ „სულით“ და ხორციტ“ განეცადათ რომაელების დრამატული პოეზია. ეს მეთოდი იმდენად პროდუქტიული აღმოჩნდა, რომ ალორძინების ეპოქის იტალიური დრამისა და თეატრის განვითარებას დაუდო სათავე.

ხისტყაოსნის“ სწავლებისა და პოპულარიზაციის მეთოდების განვითარება, დახვეწა. ამ პროცესში საინტერესო და კვალიფიციური ადამიანების ჩართვა, პოემის თანამედროვე კულტურულ, სოციალურ, პოლიტიკურ კონტექსტთან დაკავშირება და მისი პროდუქტიული და კრეატიული „დემითოლოგიზაცია“, სტერეოტიპებისა და კლიშეებისაგან განთავისუფლება, რათა ის ქართული კულტურის, სულიერების ცოცხალ წყაროდ და რესურსად იქცეს.

ელდინო სალარაძე, ითვალისწინებდა რა უმცროსი ჯგუფის მოსწავლეების ასაკსა და ასაკობრივ შესაძლებლობებს, აქცენტს პოემის აზრობრივ მხარესთან ერთად, ტექსტის ესთეტიკურ, ინტონაციურ, „ენერგეტიკულ“ ასპექტებზე აკეთებდა. აქ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა გამართულ მეტყველებას, რიტმს, ლექსის მუსიკალურობას, მის ემოციურ, გამომსახველობით პოტენციალს. ვფიქრობ, ასეთი მიდგომა შესაფერისი იყო უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის, რომლებიც რუსთაველის ურთულესი ტექსტის დაუფლებით, მისი „დამორჩილებით“ უაღრესად მნიშვნელოვან უნარებს იძენდნენ მეტყველების დახვეწის, აზროვნების განვითარების, აუდიტორიის წინაშე გამოსვლის კულტურისა და საკუთარი ქცევის კოორდინაციის თვალსაზრისით. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს პროექტის შემეცნებითი და ფსიქოლოგიური ასპექტი, ეჭვს გარეშეა, რომ მასში მონაწილეობამ თითოეული ბავშვის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი კვალი დატოვა, „ვეფხისტყაოსნისადმი“ განსაკუთრებული დამოკიდებულება შექმნა.

11 ნოემბერს თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის რეაპუბლიკურ სასახლეში პროექტის დასკვნითი სადამო შედგა, სადაც მისმა მხარდამჭერებმა და პარტნიორებმა მონაწილეები დააჯილდოვეს, ხოლო კონკურსში გამარჯვებულებმა პოემის ნაწყვეტები წაიკითხეს. სადამოს მუსიკალური ნაწილი მის თემატიკას უკავშირდებოდა. საქართველოს სახალხო არტისტმა ელდარ გენაძემ შეასრულა ავთანდილის არია შალვა მშველიძის ოპერიდან „ამბავი ტარიელისა“, ნინო ზაქაიძემ - თამარ დედოფლის კავატინა დიმიტრი არაყიშვილის ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“, ლეგი იმედაშვილმა - ოთარ თაქთაქიშვილის მიერ ირაკლი აბაშიძის ლექსებზე შექმნილი ორატორიის მეოთხე ნაწილი - „ვინ იცის, როგორ მელის ვარძია“. მუსიკალური პროგრამა დახვეწილად და გემოვნებით იყო შერჩეული, მიმანჩნია, რომ ქართული საოპერო თუ სიმფონიური მუსიკის გაცნობა მოსწავლეთათვის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ქართული ლიტერატურული კლასიკისა.

დასკვნის სახით მიხდა აღვნიშნო, რომ პროექტი „ვკითხულობთ ვეფხისტყაოსანს“ ნამდვილად შედგა. მან არაერთი მოზარდი შეცვალა უკეთესობისაკენ, საკუთარი ქვეყნის კულტურისა და საკუთარი თავის უკეთ გაცნობაში დაეხმარა.

თამარ გოპუჩავა,  
თეატრმცოდნე

კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რაოდენ საჭიროა „ვეფ-

# იგაღისა და ჩნების 10 წელი

მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის ცენტრ „მუზა-ში“ 24 ნოემბერს გაიმართა აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის საიუბილეო საღამო.

საღამოზე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ, დეკანოზმა ბიძინა გუნიამ, ოთარ ჟორდანიამ, ჯონი აფაქიძემ, ჯემალ ჭკუასელმა, ლევან ღვინჯილიამ და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებმა.

ლონისძიებებს ესწრებოდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა, სასულიერო პირები და საზოგადო მოღვაწეები.

კონცერტში მონაწილეობდნენ აფხაზეთის სახელმწიფო კაპელა, აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „აფხაზეთი“, ბავშვთა ანსამბლი „კაკასიონი“, ზვიად ბოლქვაძე, დიმიტრი ჯაიანი, ელდარ გენაძე, თემურ ელიავა, ელდინო სალარაძე, მარიკა გულორდავა, ალუდა თოდუა, ზურაბ ანჯაფარიძე-უმცროსი, ეთერ ჭანუყვაძე, ფრიდონ სულაბერიძე-უმცროსი, ანა ყიფიანი, დარეჯან მახაშვილი, ნინა სტეფანიანი, ქეთინო ბარბაქაძე, ნინო ბუკია. კონცერტს უძღვებოდა გიორგი მერებაშვილი.

**დეკანოზი ბიძინა (ბუნი):** - „ყველას დიდი სიყვარულით მოგესალმებით, დიდებულ კრებულს, გილოცავთ გიორგობის უდიდეს დღესასწაულს, რომელიც ერთად ვიზიემთ გუშინ.

გავიდა 10 წელი, რაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით და აფხაზეთის მთავრობის ხელშეწყობით შეიქმნა აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი. ადამიანური საზომით განჭვრეტილი ეს 10 წელი ძალზე ცოტაა, მაგრამ ძმების - ქართველებისა და აფხაზების დაშორების პერიოდის თვალსაზრისით ძალზე ბევრია. დიდი გულისტკივილი და იმედგაცრუება, ამავე დროს, იმედი და გაერთიანების სიხარული გვაერთიანებს დღესაც. ათი წლის წინ არ დაბადებულა იდეა ამ ცენტრის შექმნისა, უწმიდესი 2006 წელზე გაცილებით ადრე ფიქრობდა, როგორ მოეშუშებინა ეს ქრილობა. იგი ფიქრობდა წლები, თუ რა უნდა განხორციელებულიყო, როგორ უნდა მომხდარიყო და, რაც მთავარია, ვინ ჩაუდგებოდა ამ კრებულს სათავეში და აი, გამოიძებნა პიროვნება, რომელსაც ძალიან კარგად ესმოდა ამ ტკივილის მთელი არსი, ეს ადამიანი განხლდათ ჩვენთვის ყველასთვის კარგად ცნობილი, უსაყვარლესი აფხაზი ქალბატონი სვეტლანა ქეცბა.

დაიწყო შეხვედრები მის უწმიდესობასთან, შემდეგ ამ საკითხმა გადაინაცვლა აფხაზეთის მთავრობაში და ძალიან დიდი მხარდაჭერა მოიპოვა. მოკლედ მოგახსენებთ, რომ ცენტრმა ამ 10 წლის განმავლობაში მრავალი პროგრამა განახორციელა, მოლოცვითი მსვლელობები, შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან, ახალგაზრდებთან, რათა მათ არ დაავიწყდეთ აფხაზეთი, ე. წ. გალის პედაგოგთა პროგრამები, რომელიც გულისხმობდა 2 კვირით ჩამოყვანას გალიდან, იმ ურთულეს პირობებში, მათ დაახლოებას ქართულ სივრცესთან ისევ და ისევ. გავიდა ეს 10 წელი და ჩვენ იმედი განგვიმტკიცდა, და ჩვენ ლოცვა-კურთხევა გვაქვს პატრიარქისა, რომ გავაგრძელოთ „ჩუულებსაებრ მამულისა სლვისა“ გზა.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მობრძანებისათვის. აქ ვხედავ ქართველი ხალხის რჩეულ წარმომადგენლებს, გულანთებულ

ქართველებს და თქვენი მოსვლა ჩვენ ყველას გვაიმედებს და გვაძლიერებს. დღეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი აქ არ ბრძანდება, ყველამ ვიცით ამის უმთავრესი მიზეზი, ვიცით მისი განწყობა, მისი დამოკიდებულება და სიყვარული ცენტრისადმი.

გვარავდეთ ღმერთი!  
იხარეთ ორთავ სოფელსა შინა!  
ჩვენთან არს ღმერთი!“

**პროფესორი ოთარ ჟორდანი:** - „დღეს ამ დარბაზში შეიკრიბნენ ადამიანები, რომლებსაც ყველაზე მეტად უყვართ ქართული ენა, საქართველოს ისტორია, საქართველო, ყველაფერი ის, რაც ქართულთან არის დაკავშირებული. მაგრამ, მეორეს მხრივ, ამ დარბაზში არიან ადამიანები, რომლებიც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, თავისი საქმიანობით ფიქრობენ დღესაც და ხვალაც იფიქრებენ იმაზე, როგორ გავაგრძელოთ ის კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა, რომელიც აკავშირებს აფხაზ და ქართველ ხალხს. ეს არის ის დარბაზი, რჩეულთა დარბაზი, რომელიც საშუალებას მძლევს მოგესალმოდეთ დღეს იმ საზოგადოებას, რომელსაც აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი ჰქვია. თვითონ მისი დამაარსებელი, როგორც აქ არაერთხელ ითქვა, ბრძანდება უწმიდესი და უნეტარესი. უწმიდესმა და უნეტარესმა განჭვრიტა თავისი დიდი, მაღალი გონებით, რომ ეს ცენტრი უნდა ყოფილიყო აფხაზური და ქართული კულტურის პროპაგანდისტი, რომელიც განავითარებს იმ კულტურულ ურთიერთობებს, რომელიც ამ ორ ხალხს შორის არის. და მე შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ ცენტრი, რომელსაც ქალბატონი სვეტლანა ქეცბა უძღვება, არის მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ვიმუშაოთ ამ მიმართულებით.

ბევრს არ ვიტყვი, მხოლოდ ორ თუ სამ პატარა ეპიზოდს მოგახსენებთ; პირველი, ქალბატონი სვეტლანა ყველაფერს აკეთებს, რათა ქართული საზოგადოებისათვის მისანვდომი იყოს ის, რაც გააკეთა აფხაზმა ხალხმა თავისი მრავალწლიანი, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში. ეს ერთი მხარე, ეს არის დიდებული მხარე, რადგან წლების განმავლობაში ჩვენმა საზოგადოებამ ყველაფერი ისე დანვრილებით არ იცოდა აფხაზებზე და აფხაზების წარსულზე. მეორე მხრივ, ქალბატონი სვეტლანა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ გააფართოვოს წრე, ის ცოდნა გავრცელოს, რომელიც დაკავშირებულია ქართულ კულტურასთან და ქართულ-აფხაზურ კულტურათა ურთიერთობასთან. ეს ორი ძირითადი, მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომელსაც ქალბატონი სვეტლანა ემსახურება.

ბუნებრივია, ამ საზოგადოებაში დიდი ადგილი ეთმობა და დაეთმობა კიდევაც აფხაზი ხალხის ერთ-ერთ უდიდეს შვილს დიმიტრი გულიას. და მე შემიძლია გითხრათ, იმ ყოველწლიურ შეხვედრებზე, რომლებიც სპეციალურად ეძღვნებოდა დიმიტრი გულიას, ჩვენ არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი განვიხილეთ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ჩვენ, ქართველები, ვამაყობთ იმით, რომ დიმიტრი გულიამ თარგმნა თავის მშობლიურ ენაზე ჩვენი უკვდავი წიგნი, ასეთი სამია ჩვენში, პირველი - ბიბლია, მეორე - „ვეფხისტყაოსანი“ და მესამე - „ქართლის ცხოვრება“. და ეს „ვეფხისტყაოსანი“, თარგმნა აფხაზურ ენაზე უბრწყინვალესად, როგორც სპეციალისტები ამ-

ბოზენ, რადგან თვითონ დიმიტრი გულია კარგად ფლობდა ქართულ ენას.

და ბოლოს, როდესაც ვუყურებ და ვაფასებ იმ ადამიანს, რომელიც ამ ცენტრის სათავეში დგას, მინდა ვთქვა შემდეგი: აფხაზეთში არაერთი ქალბატონი იყო, რომელმაც თავი გამოიჩინა საზოგადოებრივ, კულტურულ ცხოვრებაში, ლიტერატურაში, მხატვრობაში, მუსიკაში და ა.შ. მაგრამ, როდესაც ჩვენ ვაფასებთ ამ ქალბატონებს და მათ ღვანლს, აუცილებლად უნდა გამოვყოთ

ორი ადამიანი: ეს იყო ჩვენი დიდი შალვა დადიანის და, მარიამ დადიანი-ანჩაბადისა და მეორე, ჩემი აზრით, არის ქალბატონი სვეტლანა ქეცბა, ყველაზე გამორჩეული ქალბატონი აფხაზეთის შორის და დღეს ჩვენ მივესალმებით მას იმ დამსახურებისათვის, რომელიც მიუძღვის ქართველი და აფხაზი ხალხის წინაშე“.

მხატვრულ პროგრამასთან ერთად მაყურებელს საშუალება მიეცა კონცერტის შემდეგ კიდევ ერთხელ გასცნობოდა საგამოყენო დარბაზში აფხაზეთის მხატვრების ნამუშევრებს.

„თაყუაზის - უკეთესი უფასოსა ვინის შინა წმინდისა შინა...“


შემოდგომის თბილი დღე, ქარვისფერში გადასული ბუნება, უჩვეულოდ ღამაში ყვავილები, მდინარე ფრონეს მარცხენა სანაპირო და მომცრო ეკლესია, ღირსი მამის პიროს ბრეთელის ძვალთშესალაგი. ორმოცდაათამდე მომლოცველი დეკანოზ ბიძინა გუნიას წინამღვრობით ამჯერად სწორედ ამ წმინდა ადგილს ვეწვიეთ. თავად ეკლესიის ეზო, ყვავილებში ჩაფლული, ედემს მოგაგონებს. ტაძარში სიმშვიდე, სიჩუმე და საკმევლის სუნია. აქ შესული სხვა განზომილებაში გადადიხარ და ამქვეყნიურზე აღარ ფიქრობ. მცირე ზომის სამლოცველოში, წმ. პიროს ბრეთელის საფლავთან, რომელიც ეკლესიის ისტორიაში მოიხსენიება ეპითეტით „ღვთაებრივი ხატი

სინანულისა“, მამა ბიძინას მიერ გადახდილი საჯანმრთელო პარაკლისი, გულმხურვალე ლოცვა, მოლიცლიცე სანთლები და რწმენა, რომ უკვალოდ არაფერი ქრება, საუკუნეებს მიღმა ნამოღვანარი დღესაც გვმოდვრავს და გვაძლიერებს...

შემდეგ ბრეთის დედათა მონასტერი, აქაც უამრავი ვარდი და არაამქვეყნიური სილამაზე...

ბოლოს ტრაპეზი კოცონთან, გულთბილი საუბარი მოძღვართან, რომელსაც უეცრად ამოვარდნილი ქარი ვერაფერს აკლებს...

კიდევ ერთი დღე დასრულდა, ღამაში თავისი არსითა და შინაარსით, დღე უფლის თაყვანისცემისა.

პიროს ბრეთელი  15 (28) მარტი

პიროს ბრეთელი საქართველოში მოღვაწე ერთ-ერთი ასურელი მამაა. ჩამოვიდა ქ. ანტიოქიიდან VI საუკუნის შუა წლებში იოანე ზედაზნელთან ერთად. დააარსა ქართლში ბრეთის მონასტერი, დასაფლავებულია იქვე.

წმინდა იოანე ზედაზნელის კურთხევით, ღირსი მამა პიროსი შიდა ქართლში, მდინარე ფრონეს მარცხენა სანაპიროზე დამკვიდრდა და სოფელ ბრეთის ახლოს მონასტერი ააგო. იქვე იღწვოდა, ქადაგებდა ქრისტიანობას და მრავალი მოაქცია ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე. პიროს ბრეთელის მიერ ჩამოყალიბებული სამონასტრო ცენტრი მთელი შუა საუკუნეების მანძილზე კულტურულ-საგანმანათლებლო კერა იყო. დღეს წმინდა პიროსის მიერ აშენებული ეკლესია გადაკეთებულია, VIII-IX საუკუნეებში აგებულ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიასთანაა დაკავშირებული და მინაშენის შთაბეჭდილებას ტოვებს. ღირსი მამა თავის მიერ აშენებულ მონასტერშია დასაფლავებული.

ბრეთში სამონასტრო ცხოვრება ისევ აღორძინდა და დღეს აქ დედათა მონასტერი ფუნქციონირებს. ბრეთის პიროსის ეკლესია რუისისა და ურბნისის ეპარქიის დაქვემდებარებაშია. იგი არის მოქმედი. რესტავრირებულია.

წმინდა სინოდმა 2005 წლის 23 დეკემბრის განჩინებით დაანესა წმ. პიროს ბრეთელის ხსენების დღე – 15 მაისი (ძვ. სტ.), 28 მაისი (ახ. სტ.). ეს დღე ბრეთში დიდი ზეიმით აღიწინდება.

როგორც ცნობილია, VI საუკუნის შუა წლებში საქართვე-




ლოში ჩამოვიდნენ „ასურელი მამები“ – იოანე ზედაზნელი და მისი მოწაფეები. იოანემ ისინი დამოძღვრა და წარავლინა „რომელნიმე მათგანი კახეთად, და რომელნიმე კუხეთად კერძო, და რომელნიმე ზენა კერძო სოფლით და ერთი ვინმე გარეშეთად, და სხუანი გარემო ქალაქსა ამას ჩუენსა სამეფოსა ხოლო იგინი წარვიდეს და დაემკვიდრეს რომელნიმე ჭალაქთა და რომელნიმე მთათა, ქუაბთა და ხურელთა ქვეყანისათა“.

დაინერა მათ შორის განსაკუთრებით გამორჩეულ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნები. ზოგიერთ მათგანში წარმოდგენილია ასურელი მამების სახელთა ნუსხა, მათ შორის მოიხსენიება მამა პიროსიც, ერთგან მხოლოდ სახელით, ხოლო მეორეგან მისი მოღვაწეობის ადგილიც არის მითითებული – იგი მოხსენიებულია, როგორც პიროს ბრეთელი.

დღეს არსებული ბრეთის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია VIII-IX საუკუნეებს განეკუთვნება. თუმცა იგი ერთბაშად არ აუგიათ. მისი ჩრდილოეთ მინაშენი თავდაპირველად დამოუკიდებელ მამა პიროსის ეკლესიას (ეკვდერს) წარმოადგენდა. სწორედ ეს მინაშენი უნდა ყოფილიყო პიროსის დროინდელი. ეს მცირე ზომის ერთნავიანი ნაგებობა ადრევე დანგრეულა, მაგრამ მისი ნაშთები მაინც შეუნარჩუნებიათ, შეუკეთებიათ და ორგანულად დაუკავშირებიათ მოგვიანო ნაგებობასთან.

„წმინდათა ცხოვრებანი“, ტ.1, თბილისი, 2008 წ.

# საკლესიო კალენდარი

-  1 იანვარი, სულთმოფენობიდან 28-ე, ქრისტეშობის წინა, ნდა მამათა კვირა:  
- ღირ. მამის გიორგი მწერლის და მისი ძმის საბას ხსენება (XIV.);
-  2 იანვარი (ორშ.) ქრისტეშობის წინა დღესასწაული: მღვდელმონაძე ეგნატე ღმერთშემოსილის ხსენება (1076.); მართალ იოანე კრონშტადტელის ხსენება (19086.);
-  3 იანვარი (სამშ.):  
- სამის მაკარი მმარხველის (ხახულის მონასტრის წინამძღვრ) ხსენება (XII.);  
- მღვდელმწიფის ანტონ II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა (18116.);
- 4 იანვარი (ოთხშ.) - დიდმონაძე ანასტასიას ხსენება (3046.);
- 6 იანვარი (პარ.) ქრისტეშობის წინა დღე. წმ. ბასილი დიდის წირვა.
- 7 იანვარი (შაბ. - ქრისტეშობა! წმ. იოანე ოქროპირის წირვა.  
(ხსნილია ყოვლითურთ 17 იანვრის ჩათვლით);
- 8 იანვარი, სულთმოფენობიდან 29-ე, ქრისტეშობის შემდგომი კვირა.  
კრება ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელისა; მართალ იოსებ დამწინდველის, დავით მეფის, ფსალმუნთა მთქმელისა და უფლის ძმის, იაკობის ხსენება.
- 9 იანვარი (ორშ.) - ღირ. სტეფანე ხირსელის ხსენება (VII.);
- 11 იანვარი (ოთხშ.) - ათოთხმეტ ათასთა ჩვილთა მონაშეთა, ჰეროდეს მიერ ბეთლემს მოწყვეტილთა ხსენება (II.);
- 13 იანვარი (პარ.) - ქრისტეშობის დღესასწაულის წარგზავნა;  
ღირ. საბიანას (სამცხის დედათა მონასტრის წინამძღვრის) ხსენება;
- 14 იანვარი (შაბ.) - წინადაცვეთა უფლისა;  
წმ. ბასილი დიდის (კესარია-კაპადოკიის მთავარეპისკოპოსის) ხსენება (3796.);
- 15 იანვარი, სულთმოფენობიდან 30-ე, ნათლისღების წინა კვირა  
ღირ. სერაფიმე საროველის ხსენება (18836.);
- 16 იანვარი (ორშ.) - წმ. ექვთიმე ღმრთისკაცის (თაყაიშვილის) ხსენება (19536.);
- 17 იანვარი (სამშ.) - ღირ. შიომღვიმელ მოღვაწეთა ხსენება; კრება წმიდათა სამოცდაათთა მოციქულთა (II.);
- 18 იანვარი (ოთხშ.) ნათლისღების წინა დღე. მარხვა;
- 19 იანვარი (ხუთშ.) - ნათლისღება! (ღმრთისმშობლის ხსენება) დიდი აიაზმა (წყლის კურთხევა). წმ. იოანე ოქროპირის წირვა.
- 20 იანვარი (პარ.) ნათლისღების შემდგომი დღესასწაული. კრება წმიდისა დიდებულისა წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესი;
- 21 იანვარი (შაბ.) - დიდმონაძე აბო ტფილელის ხსენება (7866.);
- 22 იანვარი, სულთმოფენობიდან 31-ე, ნათლისღების შემდგომი კვირა.
- 23 იანვარი (ორშ.) - წმ. გრიგოლის, ნოსელ ეპისკოპოსის ხსენება (3946.);
- 24 იანვარი (სამშ.) - ღირ. თეოდოსი დიდის ხსენება (5296.);
- 26 იანვარი (ხუთშ.) - ნათლისღების დღესასწაულის წარგზავნა;
- 27 იანვარი (პარ.) - მოციქულთა სწორის, ქართველთა განმანათლებლის წმ. ნინოს ხსენება. ნინოობა!
- 28 იანვარი (შაბ.) - წმ. სალომე უჯარმელისა და პეროჟავრა სიენიელის ხსენება;
- 29 იანვარი, სულთმოფენობიდან 32-ე კვირა  
წმ. პეტრე მოციქულის პატიოსანთა ჯაჭვთა თაყვანისცემა;
- 30 იანვარი (ორშ.) - ღირ. ანტონი დიდის ხსენება (3566.);
- 31 იანვარი (სამშ.) - მიცვალება ქართველთა კეთილმორწ-

- მუნისა მეფისა თამარისა.  
ღირ. ეფრემ მცირის (ფილოსოფოსის) ხსენება (11016.);  
ღირ. ალექსი მღვდელმონაზონის (შუშანიას) ხსენება (19236.);  
წმ. ათანასესი (3736.) და კირილეს (4446.) (ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსთა) ხსენება.
- 1 თებერვალი, (ოთხშ.) - ღირ. ანტონ მარტყოფელის ხსენება (VII.);  
ღირ. მაკარი დიდის (ეგვიპტელის) ხსენება (390-3916.);
- 2 თებერვალი, (ხუთშ.) - წმ. ექვთიმე აღმსარებლის (კერესელიძე) ხსენება (19446.);  
ღირ. მაქსიმე ბერძენის ხსენება (15566.);
- 3 თებერვალი (პარ.) - ღირსი მაქსიმე აღმსარებლის ხსენება (6626.);
- 4 თებერვალი (შაბ.) - მოციქულ ტიმოთეს ხსენება (დაახ. 966.);
- 5 თებერვალი, მეზვერისა და ფარისეელის კვირა  
- მღვდელმონაძე კლიმენტისა და მონაძე აგათანგელოზის ხსენება (3126.);
- 6 თებერვალი (ორშ.) - წმ. მესქისდეკ I, საქართველოს პირველი კათოლიკოს-პატრიარქის, სვეტიცხოვლის განმამაჩლებლის ხსენება (XII.);
- 7 თებერვალი (სამშ.) - წმ. გაბრიელის, იმერეთის ეპისკოპოსის ხსენება (18966.);  
წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველის, კონსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსის ხსენება (3896.);
- 8 თებერვალი (ოთხშ.) - წმ. კეთილმსახური მეფის დავით აღმაშენებლის ხსენება (11256.);
- 9 თებერვალი (ხუთშ.) - წმ. იოანე ოქროპირის ნაწილთა აღმოყვანება (4386.);
- 10 თებერვალი (პარ.) - ღირ. ეფრემ ასურის ხსენება (373-379 66.);
- 11 თებერვალი (შაბ.) - მონ. აშოტ დიდი კურაპალატის ხსენება (8296.);  
მღვდელმონაძე ეგნატე ღმერთშემოსილის ხსენება (1076.);
- 12 თებერვალი, უძღები შვილის კვირა  
წმ. შორის მამათა ჩუენთა და დიდთა მღვდელმთავართა: ბასილი დიდის, გრიგოლ ღმრთისმეტყველისა და იოანე ოქროპირის ხსენება;
- 13 თებერვალი (ორშ.) - უვეცხლოთა მონაშეთა კვიროსისა და იოანეს ხსენება (3116.);
- 15 თებერვალი (ოთხშ.) - მირქმა - მიგებება უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი;
- 16 თებერვალი (ხუთშ.) - მართალ სვიმეონ ღმრთისმამრქმელის და ანა წინასწარმეტყველის ხსენება;
- 17 თებერვალი (პარ.) - ღირ. ევაგრეს (ღირ. შიო მღვიმელის თანამოღვაწის) ხსენება (VI.);
- 18 თებერვალი (შაბ.) - მონაძე ალათიას ხსენება (2516.)
- 19 თებერვალი, ხორციელის კვირა  
ღირ. არსენ იყალთოელის ხსენება (11276.);
- 20 თებერვალი (ორშ.) - წმ. მეფის სოლომონ II (სამშობლოსათვის თავდადებულის) ხსენება (18156.);
- 21 თებერვალი (სამშ.) - დიდმონ. თეოდორე სტრატელატის ხსენება (3196.);
- 22 თებერვალი (ოთხშ.) - ღირსი გაბრიელ სალოსის ნაწილთა აღმოყვანება
- 23 თებერვალი (ხუთშ.) - ღირ. იოანე ჭიმჭიმელის, ფილოსოფოსის ხსენება (XIII.);
- 24 თებერვალი (პარ.) - მღვდელმონაძე ვლასის, სებასტიელი ეპისკოპოსის ხსენება (3166.);
- 25 თებერვალი (შაბ.) - ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატის დღესასწაული;



ნმ. პროხორე ქართველის ხსენება 9XIს.);  
ნმ. ლუკა იერუსალიმელის (მუხაიძე) ხსენება (1277წ.);  
მონ. ნიკოლოზ დვალის ხსენება (1314წ.);  
26 თებერვალი, ყველიერის კვირა  
ღირ. მარტინიანეს ხსენება (VIს.);  
27 თებერვალი (ორშ.) - ღირ. შიო მღვიმელის ხსენება (VIს.),  
შიობა;

ღირ. მღვდელმონაზონის ილარიონ ქართველის (ყანჩაველი 1864);  
28 თებერვალი (სამშ.) - მოც. ონისიმეს (სამოცდაათაგანის) ხსენება (დაახ. 109წ.).



# ჩვენი მოძღვრება

## „ღმერთსა აღიარებენ ვითარმედ იცინან, ...“ (ტიტე 1, 16)

მორწმუნე ადამიანის ცნობიერება და მსოფლადქმა მკვეთრად განსხვავდება ურწმუნო ადამიანის შეხედულებებისა და წარმოდგენებისაგან. მართლმადიდებელი ადამიანის თვალსაზრისით ამქვეყნიურ, მინიერ საზღვრებს სცილდება და დროში მარადისობას ჭვრეტს. მისი სულიერი ხედვა სამყაროს არსებობას ერთ მთლიანობაში მოიცავს, ანუ პერიოდს - ქვეყნიერების შექმნიდან ვიდრე მეორედ მოსვლამდე, და მის შემდგომ - მარადიულ ცხოვრებასაც, რომელსაც უადრესად ნათლად წარმოგვიჩენს მართლმადიდებლური სარწმუნოების სიმბოლოს (მრწამსის) ბოლო ორი წევრი: „მოველი აღდგომასა მკვედრეთით. და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნესასა. ამინ“.

რადიკალურად განსხვავებულია ამქვეყნიური საზრუნავით დამძიმებული, ოდენ ყოფით პრობლემებს გადაგებული ადამიანის ცნობიერება, რომელიც უკლებლივ აისახება მის ქმედებებსა თუ აზროვნებაში, მის სულიერ ღირებულებათა სისტემაზე, მთელ მის ცხოვრებაზე. ასეთი ადამიანი, გარეგნულად, შეიძლება მორწმუნე-დაც წარმოუჩინდეს სულიერ ცხოვრებაში გამოუცდელი პიროვნების მზერას, რაზეც ასე შეგვაგონებს პავლე მოციქული: „ღმერთსა აღიარებენ ვითარმედ იცინან, ხოლო საქმით უარ-ჰყოფენ, საძაგელ არიან და ურჩნი, და ყოვლისა მიმართ საქმისა კეთილისა გამოუცდელ“ (ტიტე 1, 16).

საუკუნეების განმავლობაში, ღვთისა და სარწმუნოების წინააღმდეგ წარმოებულმა მეთოდურმა ბრძოლამ თავისი შედეგი ნაწილობრივ მაინც გამოიღო. თანამედროვე კაცობრიობის უმეტეს ნაწილს ღვთის რწმენა უკვე დაკარგული აქვს და ფსევდოკულტურის, ფსევდოხელოვნებისა თუ ფსევდოფილოსოფიური აზროვნების უბადრუკი ნიმუშებით, მასში ბუნებითი შჯულის - სინდისის აღმოფხვრასაც ლამობენ. სამწუხაროდ, ამ პროცესების შესუსტება ჯერჯერობით არ შეინიშნება, მაგრამ უნუგეშოდ სრულიადაც არა ვართ, და თუ ჭეშმარიტი რწმენით, სიყვარულითა და სასოებით შევიმოსებით და მივენდობით უფალს, არაერთ პრობლემას დავძლევთ, რადგან ვუნყით - „უფალმან ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით“ (ფს. 28, 11.).

სახეზეა სულიერი ბრძოლის არნახული მასშტაბები არაერთი დესტრუქციული სექტისა თუ მიმდინარეობის დამლუპველი მოქმედებისა, ხოლო საზოგადოების დიდი ნაწილის ინდეფერენტულობისა ამ პროცესების მიმართ, რაც უშუალო შედეგია ღვთის შეგონების შეუსწავლობისა: „მოძღვრებასა მრავალსახესა და უცხოისა ნუ შეინწყნარებთ, რამეთუ კეთილად მადლითა განმტკიცებულ ხართ გულითა...“ (ებრ. 13,9).

ამჟამინდელი მდგომარეობა, სექტების მოძალების თვალსაზრისით, ერთობ რთულია მთელ მსოფლიოში. განვითარებული მოვლენები არაერთ კითხვას ბადებს, რომლებზეც სწორი პასუხებია გასაცემი, და რის დროსაც, უცილობლად, უფლის შეგონებით უნდა ვიხელმძღვანელოთ: „...უმეცარ იყვნეს იგინი სიმართლისა მისგან ღმრთისა და თქსსა მას სიმართლესა ეძიებდეს დამტკიცებად და სიმართლესა ღმრთისასა არა დაემორჩილნეს“ (რომ. 10,3).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არასდროს წარმოჩენილა ასე



ცხადად დაცემული ადამიანის სახე, როგორსაც ამჟამად ვხედავთ. მარტო მე-20 საუკუნის გახსენება რად ღირს, როცა ყალბად გაგებულმა თავისუფლებამ კაცობრიობის ერთი ნაწილი ღვთისა, და აქედან გამომდინარე, ზნეობის უბერებელი კანონების უარყოფამდეც მიიყვანა და მათგან „განთავისუფლებული“ ცოდვის მონებად აქცია.

ამგვარად, ჭეშმარიტად შემამოფოთებელია აგრესიულობისა და ძალადობის ზრდა მთელ მსოფლიოში. საგანგაშოა ის გარემოება, რომ აგრესია და ძალადობა მილიონობით ადამიანს ეხება და ვრცელდება მსოფლიოს ახალ რეგიონებზე. ბოროტება წარმოშობს აგრესიულ ფანატიზმს, ეთნო-რელიგიურ კონფლიქტებს, სამოქალაქო ომებს, რამაც შეიძლება გლობალური ხასიათიც მიიღოს.

დღეს მსოფლიოს წინაშე დგას აქტუალური საკითხი: გარდაუვალია თუ არა ცივილიზაციათა დაპირისპირება და კონფლიქტი, რამაც შესაძლოა სრულიად დაასრულოს კაცობრიობის ისტორია; თუ გონივრული ნაბიჯებით შესაძლებელია მშვიდობიანი თანაარსებობის მიღწევა. ჩვენ ღმად გვწამს, რომ კეთილი ნების გამოვლენით სავსებით შესაძლებელია კონფლიქტების თავიდან აცილება.

ამდენად, თუ ჭეშმარიტად გვსურს მსოფლიოში არსებული არასტაბილური მდგომარეობის მიზეზთა გარკვევა და გამოსავლის მოძიება, გულისყური ფსალმუნთა წიგნის შემდეგ სიტყვებს უნდა მივაპყროთ: - „უკეთუმცა ერსა ჩემსა ესმინა ჩემი,... რათამცა მტერნი მათნი დამემდაბლნეს, და მაჭირვებელთა მათთა ზედა დამცა მედგა ხელი ჩემი“ (ფს. 80,13-14). აქ, ძალზე მნიშვნელოვანია ყურადღება მივაპყროთ ზემოთხსენებული სიტყვებს: - „უკეთუმცა ერსა ჩემსა ესმინა ჩემი“, რაც ფრიად საგულისხმო გახლავთ.

მშვიდობის გზით სვლა, კაცთა მოდგმის საუკეთესო თვისებების წინა პლანზე წამოწევა, დიდი მიზნისკენ მისი მოქცევა განწმენდით, სინანულით უნდა დაინწყოს. უმძიმესი მდგომარეობიდან მსოფლიოს გამოყვანა უთუოდ ადამიანის შინაგანი განწმენდისა და ამაღლების გზების ძიებასაც გულისხმობს.

ყოველივე ზემოთქმულის მოხმობა ერთობ მნიშვნელოვნად გვესახება ეკლესიის, სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევით გაამანდგურებელი კულტების პრობლემებთან დაკავშირებით.

საზოგადოდ ვიტყვით. გამანდგურებელი კულტები გასაოცარი ნაირგვარობით ხასიათდებიან. ნაირფეროვანია მათი გავრცელების დრო და არეალი. ზოგი მათგანი ისტორიის კუთვნილებაა, ზოგს ძალზე მცირერიცხოვანი მიმდევარი ჰყავს, ზოგიც მრავალმილიონიან არმიას ითვ-

ლის. ასევე მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან მათი „დოგმატიკა“, სანესჩეულებო თუ საკულტო პრაქტიკა, სოციალური დოქტრინა, თუმცა საერთო ნიშან-თვისება, რომელიც მათ ქრისტიანული მოძღვრებისადმი დაპირისპირებულ მიმდინარეობებზე ნარმოაჩენს, არის მათი წარმართული ხასიათი.

წარმართობა ცოდვით დაცემული ადამიანის გაყალბებული რელიგიური ცნობიერების პროდუქტი და ჭეშმარიტი რელიგიის სუროგატია, რომელშიც ხშირად ძალზე დიდი და აშკარა დემონური ინსპირაციის კვალი, რაზეც ცხადად მონიშნავს ფსალმუნის სიტყვები: „ღმერთნი წარმართთანი, ეშმაკ არიან“ (ფს. 95, 5) (ეკალაძე 2001: 3).

იმის გასარკვევად, თუ რა უწყობს ხელს სექტებისა და მისი მსგავსი მიმდინარეობების გავრცელებას, ცნობილი ქართველი თეოლოგი, პროფესორ ედიშერ ჭელიძის ერთ-ერთ მოსაზრებას წარმოვადგენთ: „ჩვენის აზრით, დღეს მთელ მსოფლიოში და ასევე ჩვენს ქვეყანაშიც ჭეშმარიტ სარწმუნოებას ყველაზე მეტად უპირისპირდება და საფრთხეს უქმნის აგრესიული სეკულარიზმი. ეს მსოფლმხედველობა სულ უფრო და უფრო ტოტალიტალურ ხასიათს იძენს და მიუხედავად იმისა, რომ თავს რელიგიისადმი ნეიტრალურ მოძღვრებად აცხადებს, რეალურად საკაცობრიო რელიგიის ადგილს იკავებს. იგი საკაცობრიო ღირებულებების მცნებებში (მშვიდობა, სიყვარული, თავისუფლება, სამართლიანობა, შემწყნარებლობა, სრულყოფილება და სხვა) დებს ახალ შინაარსს და ყოველივე განსხვავებულს მისი ხედვისაგან აცხადებს დრომოჭმულად და პროგრესის შემაფერხებლად.

თანამედროვე ქრისტიანის ცნობიერებაში ადგილი აქვს ჭეშმარიტი და ფსევდო ღირებულებების აღრევას. ამას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ცხოვრების ფილოსოფია და ცხოვრების წესი სულ უფრო სცილდება ერთმანეთს და იწვევს პიროვნების გაორებას. ჭეშმარიტი ღვთისმეტყველების მიზანია, დაეხმაროს თანამედროვე ადამიანს მის ცხოვრებაში არსებულ მოვლენებში გაარჩიოს ერთმანეთისაგან ტყუილი და მართალი, კეთილი და ბოროტი, რათა პიროვნება გააკეთოს სწორი არჩევანი“ (ჭელიძე 2012:).

ზემოთქმულის ფონზე, საჭიროდ მივიჩნევთ საერთო საკომუნიკაციო ენის გამოძენას ეკლესიას, სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის. ისეთი ენისა, რომელიც, გარდა იურიდიული ტერმინებისა და შეხედულებებისა, საზოგადოების ზნეობრივ და სულიერ ასპექტებსაც წარმოაჩენს; რა თქმა უნდა, ყველასთვის მისაღებ, დასაშვებ, გონივრულ ფარგლებში.

ჩემი ქვეყნის საქართველოს შესახებაც ვიტყვი, რომელიც, ვფიქრობთ, მრავალმხრივ იქნება საინტერესო.

არაერთი საუკუნეა ქართულ მიწაზე ქართველ ხალხთან ერთად მშვიდობიანად თანაცხოვრობენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. ეთნიკურ სიჭრელეს კიდევ უფრო ამრავალფეროვნებს რელიგიური ნაირგვარობაც. მიუხედავად ამისა, საქართველოში არასოდეს ჰქონია ადგილი ეთნიკურ თუ რელიგიურ შუღლს, თუ არ ჩავთვლით ბოლოდროინდელ ლოკალურ ინციდენტებს, რომლებიც, სავარაუდოდ, ჩვენი ქვეყნისა და ეკლესიის არაკეთილმოსურნე პირთა მიერ არის ინსპირირებული და თავს მოხვეული.

ჩვენ გაგებით ვეკიდებით იმ საკითხს, რომ საქართველოში მცხოვრებ ყველა ხალხს თავისი კულტურა, ადათ-წესები და ტრადიციული სარწმუნოება აქვს, და ეს ჩვენთვის გასაგებია, რადგან ჩვენ (ქართველები) ერთ-ერთი უძველესი ერი ვართ მსოფლიო ხალხთა შორის და მშვიდობიანი თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორია გვაქვს.

მრავალსიმეტყველია ის ფაქტიც, რომ საქართველოს დედაქალაქში, თბილისში, კერძოდ, მის ერთ-ერთ უბანში, ფაქტიურად ერთ ქუჩაზე მდებარეობს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათედრო ტაძარი – სიონი, კათოლიკური სალოცავი, სომხური ტაძარი, ებრაული სინაგოგა და მეჩეთი. ჩვენ ყოველთვის შევიწყნარებდით ადამიანებს, ამა თუ იმ პიროვნებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ქრისტიანული სიყვარულით ვამხელდით მათ არასწორ რელიგიურ შეხედულებებს. ყოველივე ამის ფონზე, აქ ყველა აცნობიერებს იმას, რომ ერთად, ერთ ქვეყანაში – საქართველოში ვცხოვრობთ და მშვიდობიანი თანაცხოვრების გზით უნდა ვიაროთ.

ამგვარად, საქართველოში ჩვენ ყველანი საერთო პრობლემის

წინაშე ვდგავართ. ეს პრობლემები რელიგიასაც ეხება. ყველაზე დიდი საფრთხე, რომელიც ტრადიციულ რელიგიებს ემუქრებათ – სექტების მოძალბება, რომელნიც არად აგდებენ სარწმუნოებრივ, ეთნიკურ თუ კულტურულ ტრადიციებს და მათი ნიველირებისაკენ ისწრაფვიან. გარდა ამისა, ამგვარი დესტრუქციული სექტების საქმიანობა დამანგრეველად მოქმედებს ადამიანთა სულებზე, მათ ფსიქიკასა და ხშირად ფიზიკურ მდგომარეობაზეც კი. ჩვენი ვალია ერთიანი ძალისხმევით წინ აღვუდგეთ ამ საფრთხეს.

სექტების მოძალადეობაზე გავლენას გლობალიზაციის პროცესიც ახდენს, რომელსაც გარკვეულწილად კულტურული ექსპანსიაც განაპირობებს. ყოველივე ზემოთქმული ძალზე აქტუალურია, რის გამოც საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის პოზიციას წარმოვაჩინთ.

თბილისში, 2004 წლის სექტემბერში, საერთაშორისო ფორუმზე – „გლობალიზაცია და ცივილიზაციათა დიალოგი“, უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II მისასალმებელ სიტყვაში, ხაზი გაესვა შემდეგ გარემოებას: „გლობალიზაცია არის გარდაუვალი მოვლენა და იგი უკავშირდება ტექნიკურ-მეცნიერული პროგრესის განვითარებას. შეიძლება ითქვას, რომ მთელი მსოფლიო ვახდა გლობალური, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დიდმა ქვეყნებმა შთანთქან მცირე ქვეყნების კულტურული, სულიერი თუ ეროვნული ფასეულობანი, რათა შეიქმნას ერთიანი და უსახო კულტურა.

ზოგს ჰგონია, თითქოს მცირე ერების სულიერი თუ ეროვნული ფასეულობანი ქმნის კონფლიქტს და დაპირისპირებას, რაც შესაძლოა მტრობასა და შუღლშიც გადაიზარდოს. სინამდვილეში ეს სულაც არ არის ასე. ეს ფასეულობანი, მათი მრავალფეროვნება, პირიქით, ამდიდრებს მსოფლიოს“ (მასალები 2004: 25).

ყოველივე ამის ფონზე მისი უწმიდესობა და უნეტარესობა ბრძანებს, რომ... „საჭიროა ჩამოყალიბდეს საკაცობრიო ღირებულებათა ზნეობრივი ღერძი,“ რასაც იგი ცივილიზაციათა შორის წარმატებული დიალოგისა და კონფლიქტებისა და დაპირისპირების თავიდან აცილების ეფექტურ საშუალებად მიიჩნევს. ვფიქრობთ, ზემოთქმულის გათვალისწინება ერთობ წაადგება საერთო საკომუნიკაციო ენის გამოხატვას ეკლესიას, სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის. აღნიშნული შესაძლებელს გახდის შემუშავდეს ისეთი პოზიცია, რომელიც თავისიუფალი იქნება ყოველგვარი ცრუ ორიენტირებისა თუ მოსაზრებებისაგან, რასაც, სამწუხაროდ, ხშირად აქვს ადგილი თანამედროვე საზოგადოებაში.

ამდენად, თუ ჭეშმარიტად გვსურს შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის მოძიება, გულისყური უფლის შემდეგ სიტყვებსაც უნდა მივაპყროთ: „ეკრძალენით, ნუ ვინმე იყოს წარმტყუენველ თქუენდა სიბრძნისმოყუარებითა და ცუდითა საცთურითა მოძღვრებისა მისებრ კაცთასა, წესთა მათებრ ამის სოფლისათა და არა ქრისტეს მიერ“ (კოლ. 2,8).

და ბოლოს, მოციქულის სიტყვებით მივმართავთ სახელმწიფოსა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს; მათ, ვინც კიდევ ჭოჭმანობს, ეკლესიასთან ერთად, მტკიცე ნაბიჯები გადაადგან საზოგადოების ერთი ნაწილის დარღვეული ცნობიერების აღდგენისა და სულიერი გაჯანსაღების რთულ გზაზე: „განძლიერდით უფლისა მიერ და სიმტკიცითა ძლიერებისა მისისაითა; შეიმოსეთ ყოვლადსაჭურველი იგი ღმრთისაი, რაითა შეუძლოთ თქუენ წინადადგომად მანქანებათა მათ ეშმაკისათა,... მტკიცედ უკუე დეგით, მოირტყენით წელნი თქუენნი ჭეშმარიტებითა და შეიმოსეთ ჯაჭვი იგი სიმართლისაი... ყოველსა შინა აღიღეთ ფარი იგი სარწმუნოებისაი, რომლითა შეუძლოთ ყოველთა მათ ისართა ბოროტისათა განხურვებულთა დაშრეტად; და ჩაფხუტი იგი ცხორებისაი დაიდგით და მახვილი იგი სულისაი, რომელ არს სიტყუაი ღმრთისაი“... (ეფ. 6,10-17) ა მ ი ნ !

დეკანოზი ბიძინა ბუნიანი  
ფილოლოგიისა და თეოლოგიის დოქტორი,  
პროფესორი, გელათის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი

**„თავუხანის-მცხით  
უფარსა ვჰოცა უინა  
წვირანა პისნა...„**



**ივერისა და  
ჩქვენი 10 წელი**





# სოფელ ბზეთის წმ. პიროს ბზეელისა და წმ. გიორგის სახელობის ტაძრები

ISSN 2298-0865



9 772298 086004 >

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),  
ლია სენიაშვილი, ნოდარ სილაგაძე, ირინა ქეცბა  
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცილო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“

მისამართი: თბილისი, თოფურიას ქ. №12, ტელ.: 231-51-30, 599-05-96-11. ტირაჟი: 500 ცალი